ხაშურის მოამბე

№41(322) 7 დეკემბერი, სამშაბათი, 2021 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ,თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საკრებულოს პირველი სხდომის თარიღი 3 დეკემბერი დაადგინა. ერთი თვის ინტერვალი კი კანონმდებლობით იყო გაწერილი და

კომისია სასამართლოების შედეგებს უცდიდა, რომელიც, რამდენიმე მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა საჩივრების გამო გაიმართა.

3 დეკემბერს, ისევე, როგორც სხვა დანაჩენ 63 მუნიციპალიტეტში და თვითმმართველ ქალაქებში, საკრებულოს პირველი სხდომა ხაშურშიც შედგა. სხდომა საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომრის მოადგილემ <u>მინდია ქურდაძემ</u> გახსნა. უპირველეს ყოვლისა,დეპუტატებმა წუთიერი დუმილით,პატივი მიაგეს საოლქო-სააჩვნო კომისიის თავმჯდომარის - <u>იმედო ლაცაბიძის</u> ხსოვნას. ამის შემდეგ, მინდია ქურდაძემ, ამოიკითხა დეპუტატთა სია (საკრებულოს პირველ სხდომას, სხვადასხვა მიზეზით, სამი წევრი აკლდა), დაადასტურა, რომ ქვორუმი იყო და საკრებულოს შეეძლო მუშაობის გაგრძელება. ვიდრე სხდომას საკრებულოს უხუცესი წევრი წარუძღვებოდა, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, მინდია ქურდაძემ მოკლედ მიმოიხილა ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული

არჩევნები. აღინიშნა, რომ არჩევნები ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩატარდა. 48787 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 25105 - მა,რაც საერთო რაოდენობის 51 პროცენტია. საკრებულოს დეპუტატები კი პროპორციული წესით 18, ხოლო მაჟორიტარული წესით 9 კაცია. ამის შემდეგ, სხდომას უხუცესი წევრი ალექსანდრე ნოზაძე წარუძღვა. მან, უპირველეს ყოვლისა, ყველა დეპუტატს მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და მადლობა გადაუხადა წინა მოწვევის საკრებულოს წევრებს და მის თავმჯდომარეს გაწეული მიუშაობისათვის. საპროცედურო საკითხთა განხილვის დაწყებამდე, განცხადება გააკეთა პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა შოთა კურტანიძემ,რომელმაც აღნიშნა, რომ მისი აზრით, არჩევნები დარღვევებით ჩატარდა (?),თუმცა,მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ის და მისი გუნდი ყველაფერს გააკეთებენ, რომ მმართველმა პარტიამ მხოლოდ ხალხის ინტერესებით იმოქმედოს და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის. ამის შემდეგ, პარტია „საქართველოსთვის“ წევრებმა დატოვეს სხდომა, რომელიც საპროცედურო საკითხებით გაგძელდა. დეპუტატებმა, პირველ რიგში,ხმის დამთვლელი დროებითი კომისია აირჩიეს (თავმჯდომარე - ნოდარ ლომიძე, მდივანი - მაყვალა მაისურაძე, წევრი - მერაბ ცხოვრებაძე). პარალელურად, დამტკიცდა დროებითი სამანდატო კომისია (თავმჯდომარე ზაზა სხილაძე, მდივანი მარინა დიდებულიძე, წევრი ალექსანდრე სიმონიშვილი). კომისიამ შეისწავლა არსებული დოკუმენტაცია, აღნიშნა, რომ დარღვევები არაა და თანხმობა მისცა საკრებულოს კენჭი ეყარა დეპუტატების უფლებამოსილების დამტკიცებისათვის, რაც განხორციელდა კიდეც. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს პარტია „ ნაციონალების“ და „ლელოს“ წევრებმა.

ამის შემდეგ,საკრებულო გადავიდა თავმჯდომარის არჩევის საკითხზე. დასახელდა მხოლოდ ერთი კანდიდატი - პარტია „ქართული ოცნების“ წევრი ნინო ლიპარტელიანი, გამზადდა ბიულეტინები და დაიწყო არჩევნები. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ნაციონალებისა“ და „ლელოს“ წევრების კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის გამო, არჩევნებში 16 დეპუტატი მონაწილეობდა. თექვსმეტივემ ხმა მისცა დასახელებულ კანდიდატს და საკრებულოს ოთხი წლის განმავლობაში ქალბატონი <u>ნინო ლიპარტელიანი</u> უხელმძღვანელებს.

ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ დაიკავა თავისი პოსტი და საკრებულოს სხდომას წარუძღვა. მან მადლობა გადაუხადა დეპუტატებს მაღალი ნდობისთვის და აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს,რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდეს ეკონომიკური თუ სოციალური კუთხით. მთავარია, რომ ერთად ვიყოთ და ერთად ვაკეთოთ ის საქმე, რომელსაც ამომრჩეველი ჩვენგან მოითხოვს და რაც ხაშურს და მთლიანად ქვეყანას სჭირდება, - განაცხადა მან. ამის შემდეგ, მან დაასახელა თვმჯდომარის მოადგილეები. არჩევნების შედეგად, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იქნება <u>ლევან გამრეკელი,</u> მოადგილეები კი - <u>ნოდარ ლომიძე</u> და <u>ცოტნე ნოზაძე. (მათი ბიოგრაფიები იხილეთ 2-ე გვერდზე).</u>

საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო „ქართული ოცნების“ და „ნაციონალების“ განცხადება ფრაქციების დაფუძნების შესახებ, რის შემდეგაც გაიმართა სხვადასხვა კომისიების თავმჯდომარეების არჩევნები, რომლის შედეგებიც ასეთია: სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია <u>მარინე დიებულიძე,</u> საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას - <u>მუხრან ჩადუნელი</u> უხელმღვანელებს, სოციალურ საკითხთა კომისიას - <u>თათია ბროლიძე,</u> ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას - <u>ზაზა სხილაძე</u> და სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას - <u>მიხეილ ჯანაშვილი.</u>

ამით ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა დასრულდა. შემდეგი რიგგარეშე სხდომა 15 დეკემბრამდე გაიმართება, რომელზეც დეპუტატები მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტზე იმსჯელებენ. პარალელურად, დამტკიცდება კომისიების წევრები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ნინო ლიპარტელიანი

ნინო ლიპარტელიანი დაიბადა 1969 წლის 24 მარტს, ხაშურში. დაამთავრა ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა, შემდეგ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თსუ ასპირანტურა. 1991 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაბორანტის, ასისტენტის, მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის თანამდებობაზე. 1997 წელს დაიცვა საკანდიდატო

დისერტაცია **და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, რომელიც გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან. წლების განმავლობაში** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში**ასრულებდა**დეკანის მოადგილისა და ფაკულტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობას. 2020 წლიდან არის** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის **მუდმივი პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. პარალელურად, თანამშრომლობს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტთან. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, არის 49 სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის, წიგნის ავტორი, რედაქტორი და რეცენზენტი, სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოს წევრი.** 2017 წლიდან დღემდე განათლების ევროპული ცენტრის (EUROPEAN CENTER OF SCIENCE EDUCATION AND RECEARCH) სამეცნიერო პლატფორმის წევრია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ლევან გამრეკელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დაიბადა 1975 წელს. 1992 წელს დაამთავრა ოსიაურის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ხაშურის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი (1997წ.). 2004-2007 წლებში სწავლობდა „ვიტას“ უნივერსიტეტში (საბანკო სექტორი და ბიზნესის ადმინისტრირება), აქვს ბაკალავრის ხარისხი.

2007-2010 წლებში იყო საქართველოს ნავთობსადენის კომპანიაში სამშენებლო სამმართველოს უფროსი, 2010-2014 წლებში კი - ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის მოადილე. 2014-2017 წლებში მოღვაწეობდა კერძო ბიზნესში. იყო წინა მოწვევის საკრებულოს წევრი და „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნოდარ ლომიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

დაიბადა 1990 წელს, 2000 წელს დაამთავრა ხაშურის მე-7 საჯარო სკოლა, შემდეგ კი-საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი. მიიღო ბიზნესისა და მართვის სპეციალობა. იმსახურა ქართულ ჯარში, რომლის დასრულების შემდეგ, მუშაობდა "კრედო" ბანკში სესხის ოფიცრად. დაოჯახებულია

ცოტნე ნოზაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

დაიბადა 1995 წელს. დაამთავრა ხაშურის I საჯარო სკოლა, შემდეგ კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი.

იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოს წევრი. 2017-18 წლებში ხელმძღვანელობდა „ქართული ოცნების“ ხაშურის ახალგაზრდულ ორგნიზაციას.

პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირებისთვის ელექტროენერგიის საფასურის გადახდის სპეციალური ვადები წესდება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) გადაწყვეტილებით, 2022 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოს მასშტაბით, პენსიონერები და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის სპეციალური ვადებით ისარგებლებენ.

მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე, სემეკის მიერ შემუშავებული ახალი წესის მიხედვით, დარიცხული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა პენსიონერებს ყოველი თვის 16 რიცხვამდე შეეძლებათ, ხოლო ყოველი თვის 22 რიცხვამდე გადახდის საშეღავათო პერიოდით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირები.

გადახდის სპეციალური ვადებით სარგებლობისათვის პენსიონერებმა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა პირებმა საკუთარი გარემოებების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ელექტროენერგიის მიმწოდებელ კომპანიებს, ქ. თბილისში - „თბილისის ელექტრომიმწოდებელ კომპანიას“ (თელმიკო), ხოლო რეგიონებში - „ეპ ჯორჯია მიწოდებას“.

ყველა სხვა საყოფაცხოვრებო მომხმარებელი,რომელიც არ მიეკუთვნება პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირების კატეგორიას, ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის დარიცხვიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ვადის პენსიისა და საარსებო შემწეობის მიღების ვადებზე მორგების მიზნით მრიცხველების წაკითხვა განხორციელდება ერთიანი სისტემით, ყოველი თვის ბოლო ოთხ დღეში. შესაბამისად, 2022 წლიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ქვითარს მომხმარებლები თვის დასაწყისში მიიღებენ, სადაც ასახული იქნება წინა თვის ელექტროენერგიის ხარჯი (არაუმეტეს 30 დღისა).

თბილისში, მრიცხველის წაკითხვის ერთიან სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით,ე.წ. გარდამავალ პერიოდში,მიმდინარე წლის დეკემბერში შპს „თელმიკოს“ აბონენტთა ნაწილი, რომლისთვისაც ახალ მეთოდზე გადასვლით იცვლება მრიცხველის წაკითხვისა და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დარიცხვის ვადა, 2 ქვითარს მიიღებს. პირველ ქვითარს ასეთი მომხმარებლები დეკემბერში მიიღებენ არსებული ე.წ. ბლოკური წაკითხვის (მრიცხველების წაკითხვა სხვადასხვა პერიოდში) მიხედვით, რომელზეც ასახული იქნება 30 დღის განმავლობაში (ნოემბერი-დეკემბრის დასაწყისი) მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი. მეორე ქვითარს მიიღებენ დეკემბრის ბოლოს - ერთიანი წაკითხვის სისტემით (მრიცხველების წაკითხვა თვის ბოლო 4 დღეში), რომელშიც აისახება დეკემბერში მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი. ამასთანავე, საახალწლო დღეებიდან გამომდინარე, მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი ქვითარს მიიღებს 2022 წლის იანვრის დასაწყისში,რომელშიც იქნება ასახული დეკემბერში მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვის ფაქტობრივი მონაცემები. (დარიცხვა განხორციელდება არაუმეტეს 30 დღეზე).

ცვლილების გამო ადგილი არ ექნება ზედმეტობით დარიცხვებს და მოსახლეობას ელექტროენერგიის გადასახადი არ გაეზრდება.

კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი მარეკ შჩიგელი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე თენგიზ ხუბულური, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო

სექტორის წარმომადგენლები გორში მდებარე ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარს ესტუმრნენ. თავშესაფრის დირექტორმა ლამარა შაყულაშვილმა სტუმრებს სამუშაო სპეციფიკა და სამომავლო გეგმები გააცნო. შეხვედრაზე რწმუნებულის მოადგილემ აღნიშნა, რომ ქალთა უფლებების დაცვა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, რაც აისახება სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებში. თავის მხრივ, მარეკ შჩიგელმა მადლიერება გამოხატა გორის ქალთა თავშესაფრისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიმართ

გაწეული საქმიანობისთვის.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, რომელსაც მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია უერთდება. კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიდან ესწრებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებლი პირი ნინო სუხიაშვილი.

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25,26,31,32,34,35,40)

შენიშვნა: ეს სოფელი გაშენებულია ნაკადულთან და წყაროებთან, წყალი არასაკმარისია, ბევრია სახნავად და სათიბად ვარგისი მიწა -2 000(?) დღიური, მწირი-300დღიური, ტყე-400 დღიური, მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა ხვნა-თესვა და მესაქონლეობა.

ეს სოფელი გაშენებულია ახლიდან 2 წლის წინ. ზოგიერთი გლეხებიდან იხდიდა სურსათს თავად ციციანოვის გლეხებს შორის, ხოლო სხვები საერთოდ დაბეგრილები არ იყვნენ. ახლა კი გადახდა შეუძლიათ აზნაურ თომა ალექსიძის 11 კომლს, ერთი უსახსროს გამოკლებით, ხორბალი 33 კოდი, ქერი 22 კოდი, თავად ევსტათი ციციანოვის ერთ კომლს, ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი.

სოფელ ალში-თავად შანშე ბეგთაბეგოვის გლეხი

1თეოდორ ვაყელიშვილი (იგივე გვარამაძე), მისი ცოლი, ვაჟები- ვასო და სიმონი, ქალიშვილი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი ექვსი სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ესავი ბეგთაბეგოვის გლეხი:

1.დავით ჯანუევი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სოსია. ეს ორსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, 1 ცხენი, აქედან იღებს შემოსავალს.

თავად როსტომ ბეგთაბეგოვის გლეხი

1.ნინია ელიაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გლახა. ბატონთან მოჯამაგირეობით აქვთ სარჩო.

თავად შანშე ბეგთაბეგოვის გლეხი

1.გლახა მამულაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ეფრემი. დღიური დაქირავებული შრომით აქვს შემოსავალი.

შენიშვნა-1.მიწები ალის აგარაკებზე-ვარგისი 100დღიური, რომელიც ეკუთვნის, თავად ივანე სამსონის ძე ბეგთაბეგოვის ვაჟს, რომელიც სახაზინო მიწებიდან გამოყოფილია განსაკუთრებული ნიშნებით, ტყით სარგებლობენ საერთო აგარაკებიდან.

2.წინა აღწერით ნაჩვენები იყო მხოლოდ საბატონო გლეხები 32 კომლი, ამათგან მცირე ნაწილი იხდიდა სურსათს, ხოლო სხვები საერთოდ არ იყვნენ დაბეგრილები, ახლა კი გორის მაზრაში განსახლებულებისა და ჭირისაგან გარდაცვლილების გარდა აღნიშნულია 4 კომლი, საბატონო გლეხი, რომელთაგან გამოსაღების გადახდა შეუძლია შანშე ბეგთაბეგოვის 1 უსახსრო კომლის გარდა, 1 კომლს- ხორბალი 3 კოდი, ქერი 2კოდი, თავად ესავი ბეგთაბეგოვის 1 კომლს-ადენივე, თავად როსტომ ბეგთაბეგოვის 1კომლს მოჯამაგირედ ყოფნის გამო გადახდა არ შეუძლია.

სოფელ ნაღვლში - თავად დავით ამირეჯიბის გლეხები: 1.დათუნა ცუცქირიძე, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, ქალიშვილი. მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ივანე და სიმონი, ივანეს ცოლი და ქალიშვილი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ათდღიურ საბატონო მიწას, იღებს 130 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 14 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

2.მახარე აბულაძე, მისი ცოლი, ვაჟები: კიკოლა, ნინია და გაბრიელი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 9 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3.ვასილ ელგენდაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე და გიორგი. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული,1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ზაალ ამირეჯიბის გლეხი: 1.ნინია კვინიკაძე, მისი ცოლი, 2 ქალიშვილი, მისი ძმა გაბრიელი, მისი ცოლი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ევსტათი ციციანოვის გლეხი

1.ქიტესა მანგურაშვილი, ქვრივი, მისი ვაჟი გიორგი, ქალიშვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სხვის ორდღიურ მიწას, იღებს 35 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

შენიშვნა - მიწებისა და მცხოვრებთა საქმიანობის შესახებ მითითებულია, რომ ეკუთვნიან საკლესიო უწყებას.

ამ თავიდან დასახლებულ სოფელში ნაჩვენებია, რომ ადრე მხოლოდ 5 კომლი საბატონო გლეხი იხდიდა სურსათს თავად ამირეჯიბოვის გლეხებს შორის, ახლა გადახდა შეუძლიათ თავად დავით ამირეჯიბის 3 კომლს-ხორბალი 9 კოდი, ქერი 6 კოდი, ზაალ ამირეჯიბის1 კომლს-ხორბალი 3 კოდი ქერი 2 კოდი, ევსტათი ციციანოვის 1 კომლს ასევე.

სოფელ ქინძათში თავად სოლომონ დავიდოვის გლეხი 1.ბეჟან მურადის ძე ქიტიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: მელქო და პეტრე, მათი ცოლები, მელქოს 3 ქალიშვილი, პეტრეს ვაჟები: სტეფანე, ბაღდასარი და სიმონი, ძმისშვილები, ვაჟები: ბერო და გიორგი, 2 ქალიშვილი.

ამ 17სულიან ოჯახს აქვს სახლი, 16 დღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 200 კოდ პურს, ვენახი ნახევარდღიური , იღებს 20 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 20 სული, ცხენები, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

შენიშვნა-1.ეს სოფელი გაშენებულია წყაროზე(?), ამასთან სარგებლობენ მდინარე ჭერათხევის წყლით, ვარგისი მიწები 140 დღიური, მათ შორის თავად ივანე სამსონის ძე ბეგთაბეგოვის მიერ ნაყიდი----------50 დღიური, აზნაურ დავით საყვარელიძის 80დღიური მწირი.(გასაწორებელია - დ. ხაჩიძე)

სოფელ ცხრამუხაში

1. დავით კოპაძე- მისი ცოლი, ვაჟები თომა და სპირიდონი, თომას ცოლი, მათი ვაჟი ივანე, ძმისშვილი გოგია, მისი ცოლი, 2 ქალიშვილი, დავითის დედა. ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამფლობელოდ მიცემული 5დღიური მიწა, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 2 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

2 .სიმონ ლომსაძე- მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი გიგოლა, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ნინია , პაატა და დავითი, დავითის ცოლი, ვაჟი პეტრე, მათი დედა, ბიძაშვილი გიორგი. ამ თერთმეტსულიან ოჯახს აქვს სახლი,ოთხდღიური ნასყიდი სახნავი მიწა, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. ვასო ქურდაძე- მისი ცოლი, ვაჟი კიკოლა. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამფლობელოდ მიცემული 7დღიური სახნავი მიწა, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, 2 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

4. გოგია ცერცვაძე-მისი ცოლი, ვაჟი დავითი, ქალიშვილი. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური სამფლობელოდ მიცემული მიწა, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

5. ვასილ გუდაძე, ქვრივი-მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სოსია, მისი ცოლი და ქალიშვილი. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური სამფლობელოდ მიცემული მიწა, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 2 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს საზრდო.

თავად აბაშიძის ყოფილი და თავად ივანე ქახოსროს ძე აბაშიძის ახლანდელი ყმები.

1. თევდორე ჩიტაძე, ქვრივი- მისი ვაჟები: დავითი და ვასილი, დავითის ცოლი, ვაჟები: ივანე და გიორგი, ძმისშვილი იოსები. ამშვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამფლობელოდ მიცემული შვიდდღიური მიწა, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი7 სული, 3 სკა ფუტკარი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

2. გოგია ჩაჩანიძე- მისი ცოლი, ქალიშვილი, ვაჟი-გლახა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამფლობელოდ მიცემული საბატონო მიწა 7დღიური, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5სული, 3სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. სიმონ ღონღაძე - მისი ცოლი, ვაჟი ივანე. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამფლობელოდ მიცემული 3დღიური მიწა, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

4. გოგია ხოლუაშვილი- მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ხახუტა, ძმისშვილები: სოსია და გრიგოლი, მათი დედა. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, მის მფლობელობაშია 4დღიური საბატონო მიწა, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

5. ნინია ბირკაძე- მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, 2 ქალიშვილი, მისი ძმა მიხეილი. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, მის მფლობელობაშია ორდღიური საბატონო მიწა, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

6. თაზია კოპაძე-მისი ცოლი, ვაჟი ნინია. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 2 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

7. ნინია ლურსმანაშვილი, ვაჟები: პეტრე და სოსია, ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, მის მფლობელობაშია ათდღიური საბატონო მიწა, იღებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8სული, 4 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

8. საბა ქოქუაშვილი(კოკუაშვილი)- მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ასევე მიწები სოფელში, 1-გზად,? 50დღიური სახნავი, ხნავს 6დღიურს, მოჰყავს 70 კოდი პური, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

9. სოსია გოგნიაშვილი-მისი ცოლი, ვაჟები: დავითი და კიკოლა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, მის მფლობელობაში ოთხდღიური მიწა, იღებს 20 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

10. ივანე კბილაძე-მისი ცოლი, ვაჟი გლახა,ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა შიო, მისი ცოლი და 2 ქალიშვილი. ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, მის მფლობელობაში ათდღიური მიწა, ხნავს ოთხდღიურს, მოყავს პური, რქოსანი პირუტყვი 9 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

11. ნინია შუბითიძე-ცხოვრობს სხვის სახლში, საზრდოობს ნათესავების დახმარებით.

12. სოსია------- მისი ცოლი, ვაჟი ივანე, მისი დედა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ფლობს ათდღიურ მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ციციანოვის გლეხი, რომელიც გადმოსახლებულია ქარელიდან

1 მახარე იმერელიშვილი(?)- მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, ვაჟები: ნინია და გიორგი. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად აბაშიძის კუთვნილ ოთხდღიურ მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

შენიშვნა - ეს სოფელი, რომელიც წყლით სარგებლობს ჭებიდან, გაშენებულია თავად აბაშიძეების კუთვნილ მიწებზე. სახნავად ვარგისია დაახლოებით 300 დღიური, მწირი-200 დღიური, სათიბი-25 დღიური, გლეხები სარგებლობენ თავად ციციანოვის კუთვნილი ტყით, ბეგარით. სოფელშია 1 ქვის კოშკი, მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა, ხვნა- თესვა და მესაქონლეობა.

წინა აღწერით ნაჩვენები იყო ამ სოფელში 22 კომლი საბატონო გლეხი, ზოგი მათგანი იხდიდა სურსათს თავად აბაშიძეების გლეხების რიცხვში, ზოგიერთს კი საერთოდ არ ჰქონდა დაკისრებული გადასახადი. ახლა კი გარდა ლეკების თავდასხმებისას ტყვედ აყვანილების, სხვა სოფლებში გადასახლებულების და ჭირისაგან გარდაცვლილებისა, თანაცხოვრობენ 18 კომლი საბატონო გლეხი, რომელთაგან ხუთს გამოსაღების გადახდა შეუძლია თავად ივანე დავითის ძე აბაშიძესთან - ხორბალი 15 კოდი, ქერი 10 კოდი, თავად ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძის 11 კომლიდან ერთი უსახსროს გარდა ხორბალი: 33 კოდი, ქერი22 კოდი. თავად ნიკოლოზ ციციანოვის ერთ კომლს - ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი.

სოფელ ალში - თავად შანშე ბეგთაბეგოვის გლეხი - 1.თევდორე ვაყელიშვილი(იგივე გვარამაძე), მისი ცოლი, ვაჟები: ვასო და სიმონი, ქალიშვილი. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი, 6 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ბეგთაბეგოვის გლეხი - 1.დავით ჯანუევი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა, სოსია. ეს ორსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, სამდღიური სახნავი საბატონო მიწა,იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, 1 ცხენი. აქვს გარკვეული შემოსავალი.

თავად როსტომ ბეგთაბეგოვის გლეხი - 1.ნინია ელიაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გლახა. ბატონთან მოჯამაგირეობით ირჩენენ თავს.

თავად შანშე ბეგთაბეგოვის გლეხი - 1.გლახა მამულაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ეფრემი, დღიური ქირით ირჩენენ თავს.

შენიშვნა - მიწები ალის აგარაკებზე ვარგისია 100 დღიური, რომელიც ეკუთვნის თავად ივანე სამსონის ძე ბეგთაბეგოვის ვაჟს, რომელიც სახაზინო მიწებიდან გამოყოფილია განსაკუთრებული ნიშნებით, ტყით სარგებლობენ საერთო აგარაკებიდან.

წინა აღწერით ნაჩვენები იყო 32 კომლი საბატონო გლეხი, რომელთა მცირე ნაწილი იხდიდა სურსათს, ხოლო დანარჩენები საერთოდ არ იყვნენ დაბეგრილები. ახლა კი აღწერილია 4 კომლი, რომელთაგან გადასახადის გადახდა შეუძლია თავად შანშე ბეგთაბეგოვის ერთი უსახსრო კომლის გარდა, ერთ კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ესავი ბეგთაბეგოვის ერთ კომლს ასევე,

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35)

სხდომაზე დაისვა საკითხი მუშათა მილიციის ორგანიზების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებული იქნა შემდეგი დადგენილება: „დაუყოვნებლივ შესდგეს მუშათა მილიცია, რომელშიაც შევლენ საიმედო და რევოლუციისათვის თავდადებული მოწინავე ამხანაგები. მილიციის ორგანიზაციას და ხელმძღვანელობას კისრულობს თვით კომიტეტი, რომელიც ნიშნავს გამოცდილ ინსტრუქტორს და მილიციის უფროსს“

14 ოქტომბერს ხაშურის აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის მზადების საკითხი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ნ. იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ დამთავრებულია მოსახლეობის აღწერა, დაბეჭდილია საარჩევნო ბიულეტინები და სხვა, რადგან ცხრამუხისა და ზემო ჭალის მცხოვრებლები გამოთქვამდნენ სურვილს ქალაქის შემადგენლობაში მათი შეყვანის შესახებ, აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა.

ხაშურში ფართოდ გაიშალა საარჩევნო კომპანია. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სდმპ-ის წარმომადგენლები. არჩევნებში მონაწილეობდნენ აგრეთვე სოციალ-რევოლუციონერები და სოციალ-ფედერალისტები.

სოციალ-დემოკრატებმა 22 ოქტომბერს, ქალაქში გამართეს მიტინგი, გამომსვლელებმა ისაუბრეს საქალაქო საბჭოსა და დამფუძნებელი კრების არჩევნების მნიშვნელობაზე, დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ და მოსახლეობას მოუწოდეს ხმა მიეცათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატების სიისათვის.

„მთელი კვირის განმავლობაში შეუჩერებელი ფაცა-ფუცია.

არ სჩანან სხვა პარტიები, გარდა ესერებისა.

ჩვენ პარტიულ კლუბში განუწყვეტლივ მუშაობენ

მუშა, ინტელიგენტი, დიდი, პატარა, ყველა საქმიანობს, ყველას აღტაცება და სიხარული ეტყობა სახეზე.

ახალგაზრდობა გაფაციცებით დადის სახლებში და არიგებენ კონვერტებს, ნომრებს.

ყველა დიდი სიხარულით ასრულებს ნაკისრ მოვალეობას“

28 ოქტომბერს, არჩევნების წინა დღეს განსაკუთრებით გააქტიურდნენ პარტიები.

სოციალ-დემოკრატებმა ამ დღესაც მოაწყეს მიტინგი, რომელიც შემდეგ დემონსტრაციაში გადაიზარდა. დემონსტრანტებმა შემოიარეს ქალაქი, ზემო ჭალა და ცხრამუხა.

„თვალწარმტაც სურათს წარმოადგენდა ეს სანახაობა. დილით ადრე ზღვა ხალხი წითელი დროშებით და მუსიკით გაემგზავრა დიდი ქუჩისაკენ. აქ შეხვდებოდით მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხობას. ამხანაგები მხურვალე სიტყვებით მოუწოდებდნენ მოქალაქეთ ხმა მიეცათ სოციალ-დემოკრატიის სიისთვის (№1)

მწყობრათ დარაზმული დემონსტრანტები გაემართნენ სოფელ ჭალისა და ცხრამუხისაკენ. აქაც ილაპარაკეს ჩვენმა ორატორებმა. საღამოს დემონსტრანტები გაემართნენ პარტიული კლუბისაკენ. მუსიკა განუწყვეტლივ უკრავს სარევოლუციო ჰიმნს. ტრიბუნაზე ადის ნ. იმნაიშვილი, რომელმაც ასე მიმართა ხალხს:

-ჩვენი ხვალინდელი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ხალხმა წინასწარ დაგვიმტკიცა თავისი ნდობა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხვალინდელ არჩევნებში უეჭველში გავიმარჯვებთ, მაგრამ ეს მარტო სიხარულისა და სიამოვნების გრძნობას არ უნდა იწვევდეს ჩვენში. ჩვენ გვირჩევენ საზეიმოდ კი არა, სამუშაოდ და ფრიად საპასუხისმგებლო პოსტზე. ჩვენ უნდა გავამართლოთ მასის ნდობა. პარტიის არჩეულებმა უეჭველად უნდა გააკეთონ ის, რასაც ხალხი მისგან მოელის.

მაშ, მე მოგიწოდებთ თქვენ, მტკიცე კავშირით შემოერტყათ თქვენივე არჩეულთ, რომ პირნათლად შეასრულონ მათ თავიანთი მოვალეობა“

არჩევნების დღეს, 29 ოქტომბერს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი „ერთობა“, ხაშურის საქალაქო არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვებაში დარწმუნებული წერდა:

„დღეს ქალაქ ხაშურის ხმოსანთა არჩევნები მოხდება. დღეს უნდა გადაწყდეს, თუ ვის ანდობს თავის ბედს ხაშურელი დემოკრატია.

არჩევნებში ახალი თვითმმართველობის, ეს გამოსაცდელი ეგზამენია ხალხის, დემოკრატიის სიმწიფის და პოლიტიკური გამჭრიახობის.

დღეს პირველად ქალაქ ხაშურის დემოკრატია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით მონაწილეობას მიიღებს საქალაქო არჩევნებში.

დღეს ხაშურის დემოკრატია დარაზმული გამოვა საარჩევნო ბრძოლის ველზე და ხმას მისცემს სოციალ-დემოკრატიის სიას.

ხაშურის დემოკრატიამ კარგად იცის, რომ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ახლა საარჩევნო ასპარეზზე სოციალისტური პროგრამით გამოდიან, სოციალისსტები არ არიან, რადგან თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე არასოდეს სოციალისტური ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

საერთაშორისო ომის ხანაში, მთელი სამი წლის განმავლობაში, ეს ფსევდო-სოციალისტები ინტერნაციონალის დასამარებას დღესასწაულობდენ და ინტერნაციონალურ სოციალისტებს სულთათანას უგალობენ.

აი, ამათ ახლა კვლავ თავი წამოყვეს, ხალხს კვლავ მოსარჩელე პარტიად ევლინებიან, მაგრამ ხაშურის დემოკრატია მათ იმედებს გაუცრუებს და საქალაქო არჩევნებში ნამდვილ სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიას მისცემს ხმას.

მოქალაქენო! თქვენ ვერ მისცემთ ხმას ფედერალისტებს, რადგან მათი მოღვაწეობა ხაშურში თქვენ კარგად იცით!...

მოქალაქენო! თქვენ ვერ მისცემთ ხმას ვერც სოციალისტ-რევოლუციონერებს, რადგან ხაშურელი ესერები ბევრით არაფრით განირჩევიან ფედერალისტებისგან.

ცხადია, ქალაქის სვე-ბედის გადაჭრაში მათ ნდობით ვერ მოვეკიდებით.

ქალაქის თვითმმართველობა, ეს ადგილობრივი ცხე-სიმაგრეა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხალხის სრულუფლებიანობის განმახორციელებელია და მასში ადგილი უნდა მიეცეს იმ პარტიას, რომელმაც ხალხის მიერ უფლებების მოპოვებას შესწირა თავისი ძალა და ენერგია.

იმ პარტიას, რომელიც თვით უსაშინლეს რეაქციის ბნელ ხანებშიც განუწყვეტლივ ედგა დარაჯად, ხალხის უზენაეს ინტერესებს და მის ჭირსა და ლხინს თანაბრად იზიარებდა. ასეთია სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტია.

მხოლოდ მას შეუძლია სავსებით გაამართლოს ხალხის იმედები, მხოლოდ მას შეუძლია დღესაც გაუძღვეს რუსეთის დიად რევოლუციონურ ბრძოლას, ხალხის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანას და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამკვიდრებას.

დემოკრატიის მესაიდუმლე სოციალ-დემოკრატები, ჩვენში ყოველთვის ნდობით იყო აღჭურვილი, დღესაც ამავე ნდობით არის დაჯილდოებული იგი.

თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, სამტრედიის, ხონის, თელავის და სხვა ქალაქების დემოკრატია სოციალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ იბრძვის.

ხაშურის მოქალაქენო! ჯერი თქვენზეა. არც ერთი ხმა ნაციონალისტურ პარტიებს. თქვენ უნდა გვერდში ამოუდგეთ სხვა ქალაქ-სოფლებს და ხმა მისცეთ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას!“

იგივე გაზეთი ხაშურში გამართული არჩევნების შესახებ წერს:

„29 ოქტომბერია, დღე არჩევნებისა, მშვენიერი დარი დგას. ქუჩებში განუწყვეტელი მოძრაობაა. საარჩევნო ყუთთან ხალხი თანდათან გროვდება. ხალხი რამოდენიმე რიგათაა დაყოფილი. განსაკუთრებით მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში ქალებმა. ქუჩებში აგიტაცია ჩაღდება. ხალხი მათ გარშემო თავს იყრის და სულგანაბული უსმენს“

არჩევნების დღეს გააქტიურდნენ სოციალ-ფედერალისტები და სოციალ-რევოლუციონერები.

„ხაშურის ქუჩებში ფედერალისტების გასტროლიორებით აივსო.

ფედერალისტებმა არჩევნებში შესაფერი „საქმიანობა“ გამოიჩინეს. პირდაპირ ბრძოლით, რომ ვერაფერი გააწყეს პროვიკაციულ მოქმედებას მიყვეს ხელი.

უპირველეს ყოვლისა, გამოუშვეს უსახელო ფურცლები, სადაც მოუწოდებდნენ მოქალაქეთ ხმა მიეცათ №6-სთვის. მავანი ვაჟბატონები ძალითაც ართმევდნენ კონვერტებს და თავიანთ ნომრებს აჩეჩებდნენ ხელში...

არც სოციალ-რევოლუციონერები ჩამორჩნენ ფედერალისტებს. ზოგიერთი მათი „ნედოროსლები“ აშკარა პროვოკაციას ეწეოდნენ რუსობაში. „სოციალ-რევოლუციონერები ეს რუსების პარტიაა და თქვენც, როგორც რუსები №3 უნდა მისცეთ ხმაო“ და სხვა“.

არჩევნების შედეგები ასეთი იყო: 20 ხმოსანიდან 16 სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან იყო, 3 სოციალ-რევოლუციონერი, ხოლო 1 სოციალ-ფედერალისტი.

„ამრიგად, ხაშურის დემოკრატიამ კიდევ დაუმტკიცა თავისი ერთგულება სოციალ-დემოკრატიას და არჩევნები ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა“ - წერდა გაზეთი „ერთობა“

1917 წლის 7 ნოემბერს გაიმართა ქალაქის ახლადარჩეული საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნიკიფორე იმნაიშვილი, რომელმაც განაცხადა: „მე თქვენთან ერთად და ჩვენ კი ხალხთან ერთად გადავლახავთ ყოველივე დაბრკოლებებს და მედგრად გავწევთ წინ ბრწყინვალე იდეალებისკენო“.

ამიერკავკასიის კომისარიატის შესახებ საბჭომ დაადგინა: „გაიგზავნოს მისალოცი დეპეშა, ეცნობოს რომ ხაშურის თვითმმართველობა სრულ ნდობას უცხადებს მას“

საბწომ გადაწყვიტა ხმოსნები (დეპუტატები) სექციებში (კომისიებში) განაწილებულიყვნენ, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევდნენ ერთ-ერთ დარგს.

1917 წლის 8 ნოემბერს, ხაშურში, მოწვეულ იქნა ქვიშხეთის, სურამის, იტრიის, ხაშურის, ოსიაურის, ხცისის, ავლევ-ოქონის, მოხისის და დირბის სასოფლო საზოგადოების საბჭოების ყრილობა.

ყრილობის დრის წესრიგში მთელი რიგი საკითხები იდგა. კერძოდ, ზემო ქართლის საგლეხო საბჭოების დამოკიდებულება რევოლუციურ ორგანიზაციებთან, დამფუძნებელი კრების არჩევნები, საბჭოები და სოციალ-დემოკრატიული პარტია, იარაღის საკითხი და სხვა.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და მასში საგლეხო საბჭოების მონაწილეობის საკითხს. ყრილობაზე გამოთქვა სურვილი დამფუძნებელი კრების არჩევნებში საგლეხო საბჭოები გამოსულიყვნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად. ყრილობაზე წაიკითხეს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის სადეპუტატო კანდიდატების სია, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია: „მუშათა პარტიის სახელოვანი ბელადების ნ. ჟორდანიას, ჩხეიძის, წერეთლის, ჩხენკელის და რამიშვილის გვარების გაგონება დაუსრულებელი აღფრთოვანებასა და ტაშს იწვევს დეპუტატთა შორის“-აღნიშნულია გაზეთ „ერთობაში“.

ყრილობაზე ნიკიფორე იმნაიშვილმა გაკეთა მოხსენება „საგლეხო საბჭოები და მათი დამოკიდებულება რევოლუციასთან“, ხოლო ნიკო სიხარულიძემ „სოციალ-დემოკრატიის როლი სოფლად და საგლეხო საბჭოები დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანიის დროს.“ „ყრილობამ გულდასმით მოისმინა მოხსნებანი, გამოიტანა შესაფერი რეზოლუციები და ერთხელ კიდევ შეჰფიცა მუშათა პარტიას თავისი ერთგულება.“

გლეხთა საერთო განწყობაზე კარგად მეტყველებს ერთი დეპუტატის გამოსვლა: „-ხალხო! ზედმეტია იმაზე ლაყბობა, თუ ვის უნდა მივსცეთ ჩვენ, სოფლის მუშა ხალხმა ჩვენი ხმა. ყველასთვის აშკარაა, რომ მუშამ მუშას უნდა მისცეს მხარი და მუშასთან უნდა გასწიოს საბელი. ჩვენ მარტო მუშებთან გვაქვს საქმე, მუშებთან უნდა ვიაროთ, მუშების პარტიას უნდა მივსცეთ ჩვენი ხმა. მუშებთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ, ან დავიღუპოთ, ან გავიმარჯვოთ. ვინც მუშათა პარტიას უღალატებს, მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს სოფლის მშრომელთა ოჯახში. გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატებს!“

დაამთავრა ჭაღარაშერეულმა გლეხმა. მისმა წრფელმა და სადა სიტყვებმა აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის და მთელი ყრილობის მქუხარე გამოძახილმა „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“-ო დარბაზი შეარყია“.

ყრილობამ მოისმინა გორის მაზრის გლეხთა საბჭოების ცენტრის პრეზიდიუმის მოხსენება, რომელიც მოიცავდა პერიოდს მისი (საბჭოების) დაარსებიდან. აღნიშნა, რომ სოფლად საბჭოების გარშემო მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი „სოფლის შეგნებული და მოწინავე პირები“ და აქტიურად მონაწილეობენ სოფლად რევოლუციური პროცესების გაღრმავებაში. „საგლეხო საბჭოების მოქმედება თანთადან ფართოვდება გორის მაზრაში – აღნიშნა ყრილობაზე, თანდათანობით ძლიერდება და ბოლოს ისეთი ავტორიოტეტი მოიპოვა სოფლის ხალხში, რომ დღეს მისი სიტყვა, მისი გადაწყვეტილება სავალდებულოთ არის მიღებული ყველასაგან.“

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- 30 წელი ხალხის სამსახურში -

მძღოლი, რომელმაც მგზავრთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა

როგორც ჟურნალისტი, ჩემი წერილების გმირებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვაკვირდები და მხოლოდ მერე ვიწყებ ფიქრს გაზეთისათვის წერილის დასაწერად.

ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ არ მინდა, ჩემს წარმოსახვაში ზერელედ, მოვალეობის მოხდის მიზნით მივუდგე ამა თუ იმ პროფესიის ადამიანების შრომას, მოღვაწეობას, დასაფასებელი ღირსეულად უნდა დაფასდეს, გასაკრიტიკებელი კი ასევე ობიექტურად უნდა მოექცეს კრიტიკის ქარცეცხლში.

ამ წერილის დაწერაც სწორედ ასეთმა დაკვირვებამ განაპირობა და ვფიქრობ, ხაშურელთათვის უინტერესო არ უნდა იყოს ქვემოთ ჩემს მიერ ნაამბობი.

30 წლზე მეტია, რაც ბატონი პაატა ლოთუაშვილი უმწიკვლოდ, უავარიოდ ემსახურება ხაშურისა და დაბა ახალდაბის მოსახლეობას და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ორი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებასა და საქმიან ურთიერთობებში.

სამი ათეული წელი ცოტა არაა იმისათვის, რომ ადამიანის, მითუმეტეს მძღოლის, დადებითი და უარყოფითი თვისებები დაინახო და ღირსეულად შეაფასო, თავისთავად ცხადია ის ფაქტი, რომ უხეშ და უკულტურო მძღოლს მგზავრი არ ეყოლება, მითუმეტეს, თუ ყოველივე ამას არაპროფესიონალიზმიც ახლავს თან.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩემი წერილის გმირმა არ იცის ვინ ვარ მე, და არც უნდა იცოდეს. დე ინკოგნიტოდ დავრჩე, ამის პრობლემა არ არის. მთავარია ამ კეთილშობილი პიროვნების პორტრეტი სრულყოფილად წარმოვაჩინო მკითხველის წინაშე.

ცნობილი ფაქტია, ახალდაბელები ხაშურიდან, აქაურ უაღრესად ნიჭიერ და ყურადღებიან მოსახლეობასთან უფრო ურთიერთობენ ვიდრე ბორჯომთან.

გარდა იმისა, რომ ხაშურის აგრობაზარი (რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია) ახალდაბელებისათვის ძალზე ხელმისაწვდომია არა მარტო სიიაფით, არამედ სისუფთავით, კულტურული მომსახურებით და სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებით. ამას ემატება ისიც, რომ აგრობაზარი ავტომაგისტრალთან ახლოსაა და ბორჯომისკენ მიმავალ სამგზავრო ტრანსპორტსაც ადვილად იყენებენ.

ასეა ხაშური - ახალდაბის სამარშუტო მიკროავტობუსიც, რომელსაც ბატონი პაატა ემსახურება. მგზავრთა დიდი ნაკადი სწორედ აგრობაზრის კლიენტია, ამას ემატება სხვადასხვა საჯარო სივრცეები: ბანკი, აფთიაქები, იუსტიციის სამინისტროს ობიექტები, სადაც გაცილებით უკეთეს მომსახურებას უწევენ ვიდრე სხვაგან.

აი ასეა, თითქოს ერთი უბრალო პროფესიის ადამიანია ჩვენი პაატა, (რომელსაც ახალდაბელები როგორც ოჯახის წევრს ისე მიმართავენ), მაგრამ უდიდესი ფუნქცია აკისრია მგზავრთა უნაკლო მომსახურების საქმეში. სწორედ ამიტომაა, რომ მომრავლებული სატრანსპორტო საშუალებების ფონზე, პაატას მიკროავტობუსს არ აკლია ერთგული მგზავრი, რომელიც მოთმინებით ელოდება გრაფიკით მავალ ტრანსპორტს.

დიახ, ბატონი პაატა არამარტო მაღალი პროფესიონალიზმით და ოსტატობით, არამედ მგზავრთა მომსახურების მაღალი კულტურითაცაა გამორჩეული.

პაატა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ხანდაზმული ადამიანების მიმართ, ეხმარება მათ ტვირთის მიკროავტობუსში განთავსებაში, დასაჯდომი ადგილის მონახვაში. ხშირად შesწრებივარ მის თავაზიანობას, არასოდეს არ უხეშობს. არც თუ იშვიათად ყოფილა შემთხვევები, როცა მგზავრობის ფული აღარ დარჩენია მგზავრს და უხერხულობიდან ისევ პაატას გამოუყვანია.

მობრძანდი, გენაცვალე, მეტი რა შეგვიძლია ადამიანებს თუ ერთმანეთს მხარში არ დავუდექითო...

არც თუ იშვიათად ასეთ ფაქტებსაც ჰქონია ადგილი, - ვიღაც კუდაბზიკას ნაცნობისათვის უთქვამს: შენი გადახდილია, აღარ შეწუხდეო... ამ ვითომ გადამხდელს კი პაატასათვის უთქვამს, ძმა! ახლა არ მაქვს ფული და შემდეგ

გადაგიხდიო. ერთ მუქთა კლიენტს მეორეც აეკიდა რამე თუ მსგავსი ადამიანები არაფრის გადამხდელი არ არიან.

ჩვენი პაატა კი დიდსულოვნად პატიობს ე.წ. „ვაჟკაც კაცუნებს“, ვინძლო ოდესმე ნამუსმა შეაწუხოს და გვიან მაგრამ მაინც გადაიხადოს ვალი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიკროავტობუსის ბოლო გაჩერება დაბის ცენტრია, მაგრამ ბევრი ტვირთის მქონე მგზავრს უთხოვია, იქნებ სახლამდე მიმატანინოო, პაატაც ცდილობს მხარში დაუდგეს შეწუხებულ მგზავრს და საკუთარი, რამდენიმე წუთიანი შესვენება მორიგ რეისამდე გადადოს და მგზავრს მოემსახუროს უპრობლემოდ.

პაატა ის ადამიანია, რომელიც კარგად გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას, მგზავრთა გუნება-განწყობას და ცდილობს, თავისი ზრდილობიანი და კულტურული მომსახურებით კეთილსინდისიერად მოემსახუროს ხალხს. ცდილობს, ამ გაუსაძლისი ცხოვრებით გულდამძიმებულ ადამიანებს შეუმსუბუქოს მდგომარეობა, შეაშველოს ხელი.

სწორედ საქმისადმი, სამსახურისადმი და მოვალეობისადმი ასეთი დამოკიდებულებით მან დაიმსახურა მგზავრთა არა მარტო სიყვარული, არამედ ერთგულებაც.

ვუსურვოთ ჩვენს პაატა ლოთუაშვილს, ჯანმრთელობა, უავარიო მუშაობა და თავისი მოვალეობების კვლავაც უმწიკვლოდ შესრულება და მოპოვებული ავტორიტეტის კვლავაც შენარჩუნება.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

-კოვიდ - 19 -

მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა

პანდემიური მდგომარეობა ისევ უმართავია ქვეყანაში, ყოველდღიურად, ინფიცირების ძალიან დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება. მთავრობის გადაწყვეტილებით, პირველი დეკემბრიდან, მწვანე ბარათების სისტემა ამოქმედდა, რომლის მიზანიც, ქვეყანაში ვაქცინაციის ზრდაა. გარდა ამისა, ორჯერ ვაქცინირებულთათვის, ბუსტერ დოზის დამატებაც ხდება. რა მდგომარეობაა ინფიცირების, ვაქცინაციის კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტში, რას ნიშნავს მწვანე ბარათი და რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას მისი არსებობა ვირუსთან ბრძოლაში, ტრადიციულად, ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **დავით ჩიქოვანი** ისაუბრებს:

–მდგომარეობა, როგორც ზოგადად ქვეყანაში, ისე ხაშურის მუნიციპალიტეტში, ისევ არასახარბიელოა. გასულ ორშაბათს, მხოლოდ ერთ დღეში 130 დადასტურებული შემთხვევა გვქონდა, მეორე დღეს 70. გასული კვირის მონაცემებით, გვყავს 600-მდე აქტიური ავადმყოფი. გავრცელება ძალიან დიდია, იოლად ვრცელდება ვირუსი. პრობლემა ისევ რეგულაციების დაუცველობა და არასერიოზული დამოკიდებულებაა, რასაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვარეგულირებთ. რესტორნები, სარიტუალო დარბაზები და სხვა თავშეყრის ობიექტები, ისევ სრული დატვირთვით მუშაობს, რაც ვირუსის გადაცემა-გავრცელების საუკეთესო საშუალებაა.

მომართვიანობა ტესტირებაზე, ისევ დიდია. ამ ეტაპზე, ხუთი ლაბორატორია აკეთებს უფასო ტესტირებებს. შაბათ-კვირას ქორწილში არიან და ორშაბათს უკვე ტესტირებებზე მოდიან, რადგან მის გვერდით მყოფს დაუდასტურდა ვირუსი, რაც, არასერიოზული დამოკიდებულებაა მოსახლეობის მხრიდან. გეგმიურად ვტესტავთ ბაღის აღმზრდელებს, სკოლის მასწავლებლებს და პერსონალს, პოლიციას, სტომატოლოგებს. პედაგოგებში ისევ ბევრია აუცრელი და დადასტურებული შემთხვევებიც გვაქვს. ამ ეტაპზე, დახურულია ორი სკოლა და ორი საბავშვო ბაღი, რამდენიმე კლასიც დახურულია. სოფლის სკოლებში, გასულ კვირას, ხუთ ადამიანს დაუფიქსირდა ვირუსი. ვცდილობთ, რომ სკოლები არ დავხუროთ და მხოლოდ კლასები გადავიყვანოთ დისტანციურ სწავლებაზე, რომ განათლების სისტემა დავიცვათ. დირექტორებთან გავდივართ კონსულტაციას და შესაბამისად, ვიღებთ გადაწყვეტილებას. ამ ეტაპზე, 1200 მასწავლებლიდან, 300 ჯერ კიდევ აუცრელია.

წინა კვირას, მხოლოდ ერთ დღეს, 300 ადამიანი აიცრა, აქედან, 250 იყო პირველადი აცრა, ძალიან ბევრია პენსიონერი. ჩემი აზრით, მწვანე ბარათის ამოქმედება საწირო იყო და შეიძლებოდა, უფრო მკაცრიც ყოფილიყო და ვეწინააღმდეგები უკვე კოვიდგადატანილი ადამიანისთვის მუდმივი მწვანე ბარათის მიცემას.

–ბუსტერი, როგორც იცით უკვე დაიწყო. ჩინური ვაქცინით, აცრიდან მესამე თვეს უკვე შეუძლიათ ბუსტერის გაკეთება ნებისმიერი ვაქცინით და ფაიზერის შემთხვევაში, მეორე აცრიდან ექვს თვეში, 60-წლიდან ზევით სამი თვის შემდეგაც შეუძლიათ. 60 წლის ასაკის ადამიანებისთვის, ეს ვირუსი უფრო მეტადაა რისკის შემცველი, ამიტომ მისცეს რეკომენდაცია ბუსტერ დოზის. თუ გვინდა, რომ მალე დავაღწიოთ ამ მდგომარეობას თავი და გადავრჩეთ, აუცილებელია სამი პირობის დაცვა: ავიცრათ, ვატაროთ ნიღაბი და დავიცვათ დისტანცია. ეს ეხება აცრილ და კოვიდ გადატანილ ადამიანებსაც. რადგან ყველა ვაქცინას თავისი დაცვის პროცენტული მაჩვენებლები აქვს. აცრის შემთხვევაში, ვირუსით ინფიცირების მიმდინარეობა იმდენად მსუბუქია, რომ თავიდან ვიცილებთ ჰოსპიტალიზაციას და სიკვდილიანობას. საკმაოდ ვერაგი და ჭკვიანი ვირუსია, მხოლოდ სწორი დამოკიდებულებით თუ შევძლებთ მის დამარცხებას.

არ უნდა გვჭირდებოდეს, ჯარიმების დაწესება, ეს ჩვენი პასუხსიმგებლობა და შეგნება უნდა იყოს, რომ გადავრჩეთ. ის, რომ, მომართვიანობა აცრებზე გაიზარდა, სწორედ მწვანე ბარათის და იმ მატერიალური დანამატის დამსახურებაა, რომელიც სახელმწიფომ რეგულაციების სახით დააწესა. ეს ერთგვარი პრევენციაა სახელმწიფოს მხრიდან, რომ თავიდან აირიდოს ვირუსის გავრცელების სავალალო მდგომარეობა. კიდევ ერთხელ, ავიცრათ, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ დისტანცია და მოვერიდოთ ხალხმრავალ შეკრებებს.

თ. ჯავახიშვილი

- ძიუდო -

ლუკა მაისურაძე ევროპის ჩემპიონია

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხაშურის საჭიდაო სკოლას, რამაზ ხარშილაძის შემდეგ, ლუკა მაისურაძის დონის ძიუდოისტი არ ჰყოლია(ტატო გრიგალაშვილი ჩვენი თანამოქალაქეა, მაგრამ სამწუხაროდ, იგი ქარელის სახელით ასპარეზობს). ჩვენი ოქროს ბიჭის წარმატებები, მართლაც თვალშისაცემია და დღეს იგი, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთ უძლიერეს ძიუდოისტად ითვლება. ლუკამ ახალგაზრდებში ხომ ევროპასაც და მსოფლიოსაც დაუმტკიცა თავისი ძალა. შემდეგ დიდებშიც არ შეირცხვინა თავი და ბოლო წარმატებებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში(მანმადე ლუკა 81 კგ-ში ასპარეზობდა), ლაშა ბექაურთან ერთად, მსოფლიო დონის ვარსკვლავია.

სულ რაღაც ოროიდე კვირის უკან, ლუკამ ერთი აღმაფრენით მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. ძიუდოში ჩაუხედავ კაცს, ეგებ ეს ტიტული ნაკლებადწონადი ეგონოს, მაგრამ სულაც არაა ასე. საქართველოში, ამ წონაში, იმდენი კარგი ძიუდოისტია, რომ ნებისმიერი ქვეყანა, ბევრ მათგანს სიამოვნებით შეიყვანდა თავის ნაკრებში. ლუკამ კი დაამტკიცა, რომ საქართველოს ნაკრებში, მართლაც დამსახურებულადაა.

საქართველოს ჩემპიონატი სულ ერთი კვირის დასრულებული იყო, როდესაც რუსეთში, ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში, ევროპის გუნდური ჩემპიონატი დაიწყო. ბუნებრივია, უფაში, ნაკრებთან ერთად ლუკაც გაემგზავრა. აქვე განმარტებისთვის: ევროპის გუნდური პირველობა ე.წ. შერეული ტურნირი იყო, სადაც ნაკრებში ვაჟთა და ქალთა თანაბარი რაოდენობა ასპარეზობდა(3X3). აღსანიშნავია, რომ შერეულ გუნდურ ტურნირებში, აქამდე, საქართველოს ნაკრები უტიტულო იყო, თუ არ ჩავთვლით 23 წლამდელებს, რომლებმაც, ამ ცოტა ხნის წინ, იზეიმეს ევროპის ჩემპიონობა. ჩვენი "აქილევსის ქუსლი" ქალი ძიუდოისტები არიან, თუმცა მათი ბოლოდროინდელი წარმატებები იმედისმომცემია.

უფაში, პირველ მეტოქედ ავსტრიის ნაკრები გვერგო. ლუკამ სულ "თამაშ-თამაშით" მოუგო თავის მეტოქეს. მას სხვებმაც აუბეს მხარი და 4:0-ის შემდეგ გამარჯვებული ჩვენი ნაკრები გამოცხადდა.. შემდეგი მეტოქე ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ფინალისტი საფრანგეთის ნაკრები იყო. ეს დაძაბული შეხვედრა ჩვენების გამარჯვებით დასრულდა-4:2. ნახევარფინალში დიდი წინააღმდეგობა ვერც თურქებმა გაგვიწიეს და ისინიც იგივე ანგარიშით დავამარცხეთ. ლუკამ კი თავისი მეტოქე იპონით გააკრა ბეჭებზე. ფინალში ჩვენების მეტოქე ნიდერლანდების ნაკრები იყო. აქ მართალია, ქალები დამარცხდნენ, მაგრამ ვაჟებმა ყველამ მოიგო და 4:3-ის შემდეგ ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვეს. ლუკამ ისევე იპონით მოიგო. ნიდერლანდელი ტიგო რენესი ჯერ გარეფეხით გადაჩეხა ვაზარზე, შეხვედრის ბოლო წამებზე კი, მორიგ ვაზარზე ჩაატრიალა დათავის უკვე მრავალრიცხოვან ტიტულებს ევროპის ჩემპიონობაც მიუმატა.

ვულოცავთ ლუკას ამ გამარჯვებას და რა თქმა უნდა, ვულოცავთ მთელ ნაკრებს დღეისათვის, საქართველოში, 90 კგ. წონით კატეგორიაში, ორი უძლიერესი სპორტსმენია ლუკა მაისურაძე და ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური. ვფიქრობთ, ეს კონკურენცია ორივე სპორტსმენისთვის სასარგებლო იქნება და ისინი ბევრჯერ ასახელებენ საქართველოს.

ჩვენ კი, დავუბრუნდეთ ჩვენს ოქროს ბიჭს და ერთხელაც ვუთხრათ, მადლობა, ლუკა, რომ ასე გვანებივრებ შენს გულშემატკივრებს, მადლობა, რომ ჩვენი ქალაქის სახელს მსოფლიოს აცნობ და ძიუდოს მსოფლიო რუკაზე ხაშურიც გამოკვეთილად ჩანს.

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის, რაგბის გუნდ "ლეგიონის" აღზრდილის გია ხარაიშვილის მორიგი წარმატება

საქართველოს ეროვნული ნაკრების მარჯვენა ბურჯი, კლუბ "რასინგ 92"-ის გუნდის წევრი, გია ხარაიშვილი მსოფლიოს ლეგენდარული გუნდის "ბარბაროსების" მაისურით უახლოეს დღეებში, ლონდონში, "თვიქნემ სთედიუმზე" სამოას წინააღმდეგ იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ ბარბაროსები, ცნობილი - ლეგენდარული კლუბია, რომლის რიგებშიც მსოფლიოს მრავალი საუკეთესო მორაგბეც გვინახავს. დასაბამიდან (1890 წ.) დღემდე. სამწრთვნელო შტაბს სხვადასხვა დროს შეურჩევია მორაგბეები 31 ქვეყნიდან. „ბარბაროსებში" თამაშის დიდი პატივი არის მოწვევითი მხარე – მოთამაშეები წარმოადგენენ საკუთარ კლუბს ან ეროვნულ ნაკრებს და იცვამენ შესაბამისი კლუბის ან ნაკრების წინდას. კვართზე შავი და თეთრი ზოლები კი სიმბოლურად ნიშნავს გაცილებით მეტს – „ბარბაროსად" ყოფნა წარმოაჩენს მორაგბის დიდ ამბიციას, სიამაყეს გაწეული ღვაწლისთვის სარაგბო კარიერაში. ტრადიციულად, გუნდს ყოველთვის ჰყავს ერთი უკეპო მოთამაშე მაინც, ვიღაც ახალბედა, რომელიც ჯერ კიდევ ახლა იწყებს თავისი ქვეყნისთვის სახელის მოხვეჭას. იმის გამო, რომ ეს კლუბი ტურებზე არ არის ორიენტირებული, არ აქვს საკუთარი ბაზა, მაგრამ მისი წევრები ყოველთვის უზრუნველყოფილნი არიან მასპინძელი კლუბების დახმარებით. ლეგენდის თანახმად მათ ყოველთვის შთამბეჭდავად მასპინძლობდნენ წლების განმავლობაში.

წარმატებები, ჩვენს უკვე სახელოვან მორაგბეს!

ხაშურის N1 საჯარო სკოლაში გარე სპორტული მოედანი საზეიმოდ გაიხსნა

მოედნის მოწყობის სამუშაოები განახორციელა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ. პროექტის ღირებულებაა - 69874.99 ლარი;

მოედნის გახსნის ღონისძიებაზე მოხდა პირველკლასელთათვის ბუკების გადაცემა (87 მოსწავლე). პროექტის ღირებულებაა - 78300.00 ლარი;

ღონისძიების ბოლოს ოქროს და ვერცხლის მედლები გადაეცათ 2019, 2020 წელს კურსდამთავრებულ წარჩინებულ მოსწავლეებს.

ღონისძიებას ესწრებოდა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე.

მკითხველს შევახსენებთ, რომ პირველი საჯარო სკოლა წელს, მსოფლიო განათლების კვირეულის ფარგლებში, მსოფლიოს ასი წარმატებული სკოლის ჩამონათვალში შევიდა. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი წარმატებაა და სასიხარულოა, რომ სკოლა, მისი პედქოლექტივი და მოსწავლეები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და ახალი მწვერვალებისაკენ ილტვიან. ახალი სასპორტო მოედნის შემატება კი ახალი მიღწევებისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

D გოდერძი, მიხეილ და ნათელა ხაჩიძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ ხაჩიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.